

# თბილისში პოლიციამ შენიღბულ დამის კვებასა და ბარს საქმიანობა შეუჩერა

✘ პოლიციამ თბილისში იზოდაციის და კარანტინის წესის განმეორებით დარღვევის ფაქტი გამოავლინა. შესს-ს ცნობით, პოლიციამ შენიღბულ დამის კვებას საქმიანობა შეუჩერა.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, „კოვიდ 19“-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული წესებისა და რეკომენდაციების აღსრულების მონიტორინგს განაგრძობს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, გარაკტიონის ხიდის ქვეშ მდებარე, ხმის ჩამწერი სტუდიის – შპს „ინ და ჰაუსის“ სახელით შენიღბულ დამის კვებას საქმიანობა შეუჩერეს.

დადგინდა, რომ აღნიშნული კომპანია, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის დადგენილების მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის, ადმინისტრაციულ სამართადარღვევათა კოდექსის 42-ე პრიმა-10 მუხლით გათვარისწინებული სამართადარღვევისთვის, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა ნოემბრის თვეში 2-ჯერ, 10 000-10 000 ლარით დააჯარიმა. ასევე დადგინდა, რომ ჯარიმის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, კომპანიამ რამდენჯერმე შეიცვალა სახელი და დამის კვებას კვლავ განაგრძო მუშაობა. „ინ და ჰაუსი“ აკრძალულ ეკონომიკურ საქმიანობას ეწეოდა, კერძოდ, ფუნქციონირებდა დამის კვები და ბარი, სადაც მოქალაქეები 21:00 საათის შემდეგაც იმყოფებოდნენ.

აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის გამო, „ინ და ჰაუსის“ მიმართ გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248-ე

პრიმა მუხრით, რაც იზოლაციის და კარანტინის წესის განმეორებით დარღვევას გულისხმობს.

გამოძიების ფარგლებში, სამართადამცველებმა გადაკტიონის ხიდის ქვეშ მდებარე შპს „ინ და ჰაუსში“ მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩხრეკა ჩაატარეს და ობიექტი დაღუქეს. ახალი გარემოებების გამოკვეთის მიზნით, საქმეზე გრძელდება ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებები“, – აცხადებენ შსს-ში.

შსს-ს ცნობით, იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ–ის 42-ე პრიმა-10 მუხრის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხორცი იურიდიული პირის – 10 000 ლარის ოდენობით. სამართადარღვევის განმეორებითი გამოვლენა კი, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვადისწინებს.